

აქტიური განრიდების ტესტში დასწავლის ხარისხის დამოკიდებულების
განსაზღვრა ვირთაგვებში წინასწარ წარდგენილი შეუღლებების
რაოდენობაზე

თამარ შეთეკაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და საინჟინრო ფაკულტეტზე ნეირომეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა
მიმართულება: ნეირომეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ონიანი, სრული პროფესორი, ბმად
სამეცნიერო თანახელმძღვანელი: მარიამ გოგიჩაძე, ბმდ, მკვლევარი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ შეთეკაური

6 ივლისი 2018

აბსტრაქტი

კამინმა 1957 წელს შეისწავლა ვირთაგვებში არასრულად დასწავლილი განრიდების რეაქციის გახსენება დროის სხვადასხვა პერიოდში. კამინის მიერ მიღებულმა შედეგებმა აჩვენეს გახსენების U-ს ფორმის მაგვარი მრუდი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო კამინის ეფექტის რაოდენობრივი და დროითი მახასიათებლების უფრო დეტალური შესწავლა და გარკვევა, თუ რა გავლენა აქვს კამინის ეფექტის გამოვლინებაზე ვირთაგვისათვის წინასწარ აქტიური განრიდების ამოცანის 10 შეუღლების წარდგენას.

საკვლევი ობიექტები იყვნენ თეთრი, უჯიშო, ორივე სქესის ლაბორატორიული ვირთაგვები. მეხსიერების ხარისხის შესასწავლად გამოყენებული იქნა ორმხრივი აქტიური განრიდების ამოცანა.

მიღებულმა შედეგებმა აჩვენეს რომ ვირთაგვისათვის აქტიური განრიდების ამოცანის 10 შეუღლების წინასწარი წარდგენა რადიკალურად ცვლის არასრულად დასწავლილი განრიდების რეაქციის გახსენების კამინის კლასიკური მრუდის დინამიკას.

საძიებო სიტყვები: კამინის ეფექტი, აქტიური განრიდების ამოცანა, არასრულად დასწავლა, მეხსიერება, განრიდების რეაქციის გახსენება.

Abstract

In 1957 Kamin researched the retention of incompletely learned avoidance response over the varying periods of time. The data obtained by Kamin resulted in U shaped retention curve.

The purpose of present study was a further investigation of quantitative and temporary characteristics of the Kamin effect in details and to determine the effect of rat's beforehand exposing to active avoidance task's 10 trials on the manifestation of the Kamin effect.

The testing subjects were inbred albino, adult, laboratory rats both male and female. To study the level of memory was used two-way active avoidance task.

The obtained data showed that beforehand exposing of rat to active avoidance tasks 10 trials drastically changes the dynamic of Kamin's classical retention curve of incompletely learned avoidance response.

The Key words: The Kamin effect, Active avoidance task, incomplete learning, memory, avoidance response recall.